


# ყოველდღიური პლასტმასები


პლასტმასები წარმოადგენენ ნივთიერებებს – სახელად პოლიმერებს – გრძელ, უაჭვისმაგვარ მოლეკულებს, რომლებიც ბევრი პატარა მოლეკულისგან წარმოიქმნა. ჩვენ ამ ნაერთებს ყოველდღიურად ვიყენებთ. ეს ინფოგრაფიკა მიმოიხილავს ყველაზე ხშირად შეხვედრილ პოლიმერებს.

## PE პოლიეთენი




პოლიეთენი ყველაზე დიდი რაოდენობით ინარმოება და ჩვენამდე მოდის ორი ძირითადი სახით: მაღალის სიმკვრივის პოლიეთენი (HDPE) და დაბალი სიმკვრივის პოლიეთენი (LDPE). იგი ბიოდეგრადირებადი არაა და გვხვდება პარკების, ბოთლების მილების სათამაშოების და გადასაკრელების სახით.

## PP პოლიპროპენი




პოლიპროპენი გამოჩვეულად მდგრადია სითბოს, ფიზიკური დაზიანების და კოროზიის მიმართ. შესაბამისად, იგი ხშირად გამოიყენება საკვების კონტეინერების, ხალიჩების, თოკების, პლასტიკური ავეჯის და მილების დასამზადებლად. ასევე გამოიყენება სამდიცინო ან ლაბ. ინვენტარის დასამზადებლად.

## PS პოლისტიროლი




პოლისტიროლი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი პოლიმერია. გამოიყენება პლასტმასის დანა-ჩანჯლის, CD დისკების ჩასადების, ერთჯერადი საპარსის დასამზადებლად. გარდა ამისა, პოლისტიროლის ქაფი გამოიყენება ინსულაციისთვის და ნივთების ან საჭმლის შეფუთვისთვის.

## PTFE პოლიტეფლოროეთენი




PTFE-ს გავრცელებული სახელი ტეფლონია. იგი ძალზე ინერტული პოლიმერია, გამოიყენება არანებოვანი ზედაპირების დასამზადებლად ძირითადად ტაფისთვის. Gore-tex-ის ნაწარმები მოიცავს PTFE-ისებურ ბოჭკოებს. იგი, ასევე, საპოხ მასალადაც გამოიყენება. მავთულების და მილების იზოლაციაშიც...

## PVC პოლივინილქლორიდი




PVC-ს ხისტი და ელასტიკური ფორმა არსებობს. ხისტი სახით მას იყენებენ ფანჯრების და კარის ჩარჩოების, მილების და პლასტიკური ბარათების დასამზადებლად. ხისტი ფორმას თუ პლასტიფიკატორები შეეწევა, მიიღება PVC-ს ელასტიკური ფორმა, რომელიც სადენებისა და რემზინის ჩამნაცვლებლად გამოიყენება.

## PET პოლიეთილენის ტერეფტალატი




PET მსუბუქი პოლიმერია და შესაძლებელია სხვადასხვა სიხისტის შევხვედეთ ყველაზე ხშირად იგი გამოიყენება პლასტმასის ბოთლების და ბოჭკოვანი ქსოვილების (ხშირად 'პოლი-ესტერის' სახით მოიხსენიებენ) დასამზადებლად. გარდა ამისა, იგი სკოჩის და საჭმლის შენახვის მასალის დასამზადებლად იყენებენ.

## PA ნაილონი (პოლიამიდი)



ნილონი პოლიმერების ოჯახია. აქ ნილონი 6,6-ის სტრუქტურაა მოცემული. მას სამხედრო დანიშნულება აქვს, ნილონი სინთეზური აბრეშუმის ჩამნაცვლებელია, მაგ., პარაშუტებში. დღეს იგი გამოიყენება ტანსაცმლის, გიტარის სიმების და ჭუის დასამზადებლად.

## PU პოლიურეთენი



პოლიურეთენის პოლიმერების ოჯახია, რომელშიც R რადიკალია განსხვავებული. ეს პოლიმერები გამოიყენება სავარძლების, ავეჯის ფეხსაცმლის ძირების, ფეხბურთის ბურთის, სკეიტბორდის და როლიკების ბორბლების დასამზადებლად და ზოგჯერ ლატექსის ჩამნაცვლებლად. იგი ზოგიერთ ლაქშიც გვხვდება.



© COMPOUND INTEREST 2015 - WWW.COMPOUNDCHEM.COM | Twitter: @compoundchem | Facebook: www.facebook.com/compoundchem

CC Attribution-NonCommercial-NoDerivatives licence. Photo: CC-BY licence, Pump Aid: <https://www.flickr.com/photos/worldwaterday/8534578744>

Permission to translate the content was granted by Andy Brunning. Translated by © Lasha Khutsishvili

